სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/64 19.08. 2020 წ.

2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებული დაწყებისა და წარმართვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებული დაწყებისა და წარმართვის მიზნით, ვბრძანებ:

1. სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული აწსუ-ს 2020 წლის 12 აგვისტოს ბრძანება №01-04/60 სასწავლო გრაფიკის დამტკიცების შესახებ.
2. ცნობად იქნას მიღებული, რომ აწსუ-ს 2020 წლის 30.06. №01-04/49 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად ფაკულტეტების დეკანების, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურების, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად:
   - შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში დამტკიცდა დეპარტამენტების კოდები;
   - ძირითადში მთელ რიგ ფაკულტეტებზე დასრულდა კურსების სასწავლო გრაფიკებისა და ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის პროცესი;
   - მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების ხელმოწერები წარმოდგენილ კურსების სასწავლო გრაფიკებზე.
   - დადგენილ ვადებში დეპარტამენტებს მიეწოდა სასწავლო დატვირთვების მოსამზადებლად საჭირო სასწავლო რეკვიზიტი;
   - ამასთან, კვლავ გრძელდება შიგა საფაკულტეტო ნაკადების დამტკიცების, კურსების სასწავლო გრაფიკების, საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობაში მოყვანის სასწავლო კურსების კონკრეტულ დეპარტამენტებზე მიკუთვნების პროცედურა.
3. ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით დამტკიცდეს ახალი 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებული დაწყებისა და წარმართვის უზრუნველყოფის შემდეგი აუცილებელი ვადები:

- **ფაკულტეტების დეკანებმა:**

  - სტუდენტთა მიმდინარე კონტინგენტის მონაცემთა გათვალისწინებით 2020 წლის 25 აგვისტომდე გამოსცენ განკარგულებები შიგა საფაკულტეტო ნაკადების, პრაქტიკული და ლაბორატორიული ჯგუფების დაკომპლექტების შესახებ უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 10 ივნისის № 01-04.51 და 2019 წლის 7 ნოემბრის № 01-04/86 ბრძანებების შესაბამისად უნივერსიტეტში სწავლების კომპონენტების მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა სარეკომენდაციო რაოდენობის, აკადემიური პერსონალის პრაქტიკის დატვირთვის პარამეტრების და ჩატარების ნორმების განსაზღვრის შესახებ;

- **დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა:**

  2020 წლის 5 სექტემბრამდე წარადგინონ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში 2020-2021 სასწავლო წლის დეპარტამენტის საერთო და იდივიდუალური სასწავლო დატვირთვები.

  - ამავე ვადაში დაასრულონ და მსვლელობა მისცენ შტატის ზემოთ დარჩენილი საათების შესასრულებლად პერსონალიების ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვევის პროცედურას.

4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (პროფ. იმერი ბასილაძე)
   - ფაკულტეტების დეკანატებთან, დეპარტამენტებთან ურთიერთანამშრობლობის საფუძველზე 2020 წლის 10 სექტემბრამდე უზრუნველყოს უნივერსიტეტის დეპარტამენტების საერთო და ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მიღება.
5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე უზრუველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — ასოც. პროფ. შალვა კირთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერ ბასილაძე

სასწავლო-მეთოდური
განყოფილების უფროსი — აკად. დოქტ. მადონა ნიჟარაძე